პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 28 მაისი, 1942 წ. № 124 (6440). ფასი 15 კაპ.

გეგმის გადამეტებით ვთესოთ თავდაცვისა და ძმური დახმარების ჰექტარები

კრასნოდარის მხარის ვისელსკის რაიონის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მოწოდებამ თესვის გეგმის გადამეტებით თავდაც-...

ბაა ის, რომ წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელმა არბოშიკმა" თავდაცვისა და გერმანელი ოკუპანტებისაგან დაზარა-...

...სახელმწიფო გეგმა, პრაქტიკულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და თესვის გეგმის გადამეტებით სთესავენ თავდაცვისა და ძმური დახმარების ჰექტარებს.

საქართველოში თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში დათესილია რამდენიმე ათასი ჰექტარი. მხურვალე საბჭოთა პატრიოტიზმის გამოსახულე-...

...დავთესოთ თავდაცვისა და ძმური დახმარების ჰექტარები, დაუღალავი შრომით მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის, ზურგში გმირული შრომით დავეხმაროთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას 1942 წელს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოოდ განადგურებაში!

საბჭოთა ქვეითები მტერს მუსრავენ

ხარკოვის მიმართულება, 27 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს ჰიტლერელ ვაიმეომრებს მწვავედ დაარტყეს ნ-მსროლელი ნაწილის მებრძოლებმა, რომელიც აქტიურ შეტევით მოქმედებას აწარმოებს ჩვენი მიმართულების ერთ-ერთ უბანზე.

წინადღით გერმანელები ამ ნაწილის მიძალების შედეგად იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ დიდმნიშვნელოვანი ტაქტიკური ზღუდე. როგორც ეტყობა, ფაშისტებს მოსვენებას არ აძლევდა ამ ზღუდის დაბრუნების ფიქრი. ფაშისტებმა მნიშვნელოვანი ძალები მოუყარეს თავი და კონტრიერიშზე გადმოიყვანეს; მათ იმედი ჰქონდათ, რომ სწრაფი ნახტომით უკუაქცევდნენ ჩვენს მებრძოლებს.

...ნენ რა დაკავებულ ზღუდეებზე. მოწინააღმდეგის შევიწროებას განაგრძობდნენ. გერმანელები ჩასანგრდნენ და ცდილობენ თავი აარიდონ ბრძოლას. ისინი არტილერიისა და ნაღმტყორცნების მეთოდურ სროლას ეწევიან.

კაპიტან მოლჩანოვის ქვეგანაყოფმა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად თავს მოახვია ბრძოლა რიცხვობრივად ჭარბ გერმანელთა ჯგუფს. ეს მეთაურის თავხედობა კი არ იყო, არამედ მტკიცე რწმენა თავისი ძალებისა, საბჭოთა ქვეითი ჯარისკაცის მორალური თვისებებისა. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. წითელარმიელები მტერს ეკვეთნენ. საშუალებას არ აძლევდნენ მას ...

...დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

ჩვენი ქვეითების გმირობაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, თუ როგორ იბრძოდა ამ ბრძოლაში უმცროს მეთაურ აკიმოვის ქვეგანაყოფი. მის მებრძოლთა ჯგუფმა გერმანელთა ასეულის იერიში მოიგერია და ხელთ იგდო დიდძალი დავლა, იარაღი და საომარი მასალა.

სხვა უბნებზე ჩვენი ნაწილები, მაგრდებოდ-...

...დაგვრჩენია! — ბრძანა მეთაურმა. პირველი ეკვეთა ფაშისტებს და თან გაიყოლია მებრძოლნი.

რკალი გარღვეულ იქნა. ამ გარღვეულ ადგილს მიაშურეს წითელარმიელებმა. ჩვენმა მებრძოლებმა თავი დააღწიეს გარშემორტყმას და თვითონ მოაქციეს რკალში გერმანელები, რომლებიც ის იყო გარშემორტყმენ მათ.

ზ. ლიპავსკი.

უკანასკნელი ცნობები

თავს დაესხნენ ჰიტლერის მოადგილეს პრაღაში ჰაიდრიხს
ჰაიდრიხი დაჭრილია

ჩეხიასა და მორავიაში შემოღებულია საგანგებო წესები

სტოკჰოლმი, 27 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო პრაღიდან იუწყება, იქ გამოაქვეყნეს გერმანიის ხელისუფალთა ცნობა იმის შესახებ, რომ დღეს თავს დაესხნენ „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორის" მოვალეობის აღმსრულებელს ჰაიდრიხს. ჰაიდრიხი დაჭრილია. იმ პირთა დაჭერისათვის, ვინც თავდასხმა მოახდინა, გამოცხადებულია ჯილდო 10 მილიონი კრონის რაოდენობით.

ჟენევა, 27 მაისი (საკდესი) საფრანგეთიდან პრაღაში ახლახან დაბრუნებულ გესტაპოს უფროსის მოადგილესა და ჰიტლერის პრაღელ მოადგილე ჰაიდრიხზე თავდასხმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველგან. როგორც ცნობილია, შარშან ოქტომბერში, როცა მთელ ჩეხოსლოვაკიაში ჩეხი ხალხის უდიდესი ანტიგერმანული დემონსტრაციები გაიმართა, ჰიმლერმა ჩეხების სასტიკად დასასჯელად იქ გაგზავნა თავისი მოადგილე ჰაიდრიხი, რომელმაც თავი გამოიჩინა გერმანიაში ჩადენილი მკვლელობებითა და მხეცობით.

ჰაიდრიხის ბრძანებით, დახოცეს და საპატიმროებში წამებით სული ამოხადეს ათიათასობით ჩეხს, ხოლო ასიათასობით ჩეხი სა-...

...კონცენტრაციო ბანაკებში შეამწყვდიეს.

ამ სისხლიანი საქმეებით ჰაიდრიხმა ფიურერის ნდობა მოიპოვა, რის შემდეგ „გასტროლებზე მყოფი ჯალათის" როლში გამოცდილი იყო. მან ნორვეგია მოიარა. გერმანელი ოკუპანტებისადმი ფრანგი ხალხის ზრდადი წინააღმდეგობის გამო, მაისის დამდეგს ჰაიდრიხი საფრანგეთში გაგზავნეს.

იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ ხანს პრაღაში, მორავიის ოსტრავაში და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებსა და ოლქებში ჩეხებმა სეროიზული გამოსვლები მოაწყეს ოკუპანტების წინააღმდეგ, ხოლო ბრნოში გერმანელთა გარნიზონი განაიარაღეს, ჰაიდრიხს ამას წინათ მითითება მიეცა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა პარიზი და ჩეხოსლოვაკიაში წასულიყო.

პრაღის რადიოსადგურმა გამოაქვეყნა ჰიტლერელ ხელისუფალთა განკარგულება იმის შესახებ, რომ „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატში" გამოცხადებულია საგანგებო წესები. დამატებით გამოაცხადეს, რომ დახვრეტილ იქნებიან თავიანთ ოჯახებიანად ყველა ისინი, ვინც თავდასხმაში დამნაშავე პირთა ადგილსამყოფელი იცის და ხელისუფლებას არატყობინებს.

ალბანეთში პარტიზანული ბრძოლა გაცხოველდა

სტამბოლი, 27 მაისი (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს იტალიელ დამპყრობთა წინააღმდეგ ალბანეთის პატრიოტების ბრძოლამ საერთო პარტიზანული ომის ხასიათი მიიღო. საბერძნეთიდან ამას წინათ ჩამოსული პირნი იუწყებიან, რომ პარტიზანულმა რაზმებმა საომარი ოპერაციები განაახლეს კრუას რაიონში (ტირანის ჩრდილოეთით), რომელიც იტალიის საოკუპაციო ჯარების მომარაგების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს. პარტიზანებმა დიდი ზარალი მიაყენეს იტალიელთა ჯარებს და ააფეთქეს ყველა მათი ნავთსაცავი და იარაღის საწყობი. პარტიზანებსა და იტალიელებს შორის შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა პიკარის რაიონშიც, ტირანიდან 10 კილომეტრზე.

ამ დღეებში ტირანაში ბომბი ესროლეს ალბანეთის მარიონეტულ „პრემიერს" — მუსტაფა კრუას. ამის შემდეგ 200 ალბანელი მძევალი დააპატიმრეს და იტალიაში გაგზავნეს. რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა ალბანელთა ჯგუფმა პოლიციის უფროსი ალი კეჩი მოჰკლა ტირანის ერთ-ერთ ქუჩაში. მის გვამზე დატოვებული იყო ბარათი: „ასეთი ბედი მოელის სამშობლოს ყველა მოღალატეს". იტალიის სარდლობამ საალყო წესები შემოიღო ალბანეთში. ფაშისტთა პატრულებს ბრძანება მიეცათ გაუფრთხილებლად ესროლონ, თუ გამოჩნდება 5-ზე მეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, ველოსიპედისტები და პირბადიანი ქალები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 მაისის დილის ცნობა

26 მაისის ღამის განმავლობაში **ხარკოვის** მიმართულებით ჩვენი ჯარები მკვიდრდებოდნენ მათ მიერ დაკავებულ ზღუდეებზე.

იზიუმ-ბარვენკოვოს მიმართულებით ჩვენი ჯარები მედგარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

საკავალერიო ნაწილმა ამხ. ნოსკოვის მეთაურობით (სამხრეთის ფრონტი) 60-კილომეტრიანი რეიდი მოაწყო მტრის ზურგში. ჩვენმა კავალერისტებმა მტრის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში 2.100 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა უსახელო ...

...სიცივისაგან კანკალებდნენ და გვემუდარებოდნენ პური მოგვეცითო. ჯარისკაცები ვაგონს არ აკარებდნენ მათ და პანღურის ცემით ერეკებოდნენ. იანვარში მცენსკში მოვხედი. 3 თებერვალს ღამით სამხედრო ხელისუფლებამ ქუჩაში გამორეკა ქალაქში დარჩენილი ყველა მცხოვრები, მათ შორის ქალები და ბავშვებიც, და ბადრაგით გაგზავნა ზურგში. ვისაც სიარული არ შეეძლო, იქვე ხვრეტდნენ.

ჩვენს პოლკს ამ უკანასკნელ ხანს დიდი ზარალი მოსდის. ბევრი სულიერად დაეცა. გახშირდა დეზერტირობა. მე დავესწარი ორი გერმანელი ჯარისკაცის დახვრეტას დეზერტირობისათვის. ორმა ჯარისკაცმა და ორმა უნტერ-ოფიცერმა უარი სთქვა ოფიცრის ბრძანების შესრულებაზე. ისინი იმავე დღეს წაიყვანეს და შემდეგ აღარც გვინახავს".

* * *

...პარტიზანებმა 200 ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

გერმანელთა 29-ე მოტოდივიზიის მე-15 მოტომსროლელი პოლკის ტყვედწამოყვანილმა ჯარისკაცმა ბრუნო მ-მ განაცხადა: „1941 წლის დეკემბერში აღმოსავლეთის ფრონტზე გამომგზავნეს სამარშო ბატალიონთან ერთად. ჩვენ პოლონეთზე გამოვიარეთ. ვაგზლებში ქანცგამოლეული, ძონძებში გახვეული ქალები და ბავშვები დალასლასებდნენ. ისინი ...

...პროდუქტების მოპარვა ყოველდღიური მოვლენა ხდება. ქურდებს თითქმის ვერასოდეს ვერ იჭერენ. მოქალაქეებში ფეხს იკიდებს საერთო უიმედობის გრძნობა. გაზეთი „აიან სუუნტა" აღიარებს, რომ ფინეთის საპყრობილეები სავსეა. ფინური პრესის მთელი ეს გოდება ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა სილატაკემდე და შიმშილამდე მიიყვანა ფინეთი ჰიტლერის ლაქიების — რიუტი-ტანერ-მანერჰაიმის დანაშაულებრივმა ბანდამ.

27 მაისის საღამოს ცნობა

27 მაისის განმავლობაში **ხარკოვის** მიმართულებით ჩვენი ჯარები დაკავებულ ზღუდეებზე მაგრდებოდნენ და ბრძოლებს განაგრძობდნენ.

იზიუმ-ბარვენკოვოს მიმართულებით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის გააფთრებულ იერიშებს იგერიებდნენ.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

26 მაისს მოსპობილია გერმანელთა 82 თვითმფრინავი. ჩვენ 23 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

...ბომბებით აფეთქდა. ამხ. დიაგინი მშვიდობით დაბრუნდა თავის აეროდრომზე.

* * *

ამხ. ბერზარინის ნაწილის არტილერისტებმა (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი) ერთ დღეში დაანგრიეს გერმანელთა 26 მიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩაახშეს 24 საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეა, მოსპეს 48 საცეცხლე წერტი და 2 ნაღმსატყორცნი.

* * *

იმ ნაწილის 22 სნაიპერმა, სადაც მეთაურად არის ამხ. ბეზზუბოვი, ორ თვეში 736 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. ...

...ოფრინავმა სცადა თავს დასხმოდა ჩვენს ერთ ობიექტს ჩრდილოეთში. მოწინააღმდეგეს ჩვენი ავიაგამანადგურებლები დაუხვდნენ. გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა, წინასწარი ცნობებით, გერმანელთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ბატალიონის კომისარმა ამხ. დიაგინმა „ჰარიკეინის" თვითმფრინავით გატარნა გერმანელთა მეექვსე თვითმფრინავი. ეს თვითმფრინავი ჩამოვარდა და თავისივე ...

...ისინი მოთავსებული არიან ეკლიანი მავთულით შემოღობილ ბარაკებში. მუშებს აიძულებენ დღე-ღამეში 12-14 საათი იმუშაონ. ბანაკში შიმშილისა და აუტანელი კატორღული შრომის გამო ყოველდღიურად ათობით იხოცებიან უცხოელები. მაისის დამდეგს მუშების ჯგუფმა ადმინისტრაციას მოსთხოვა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. იმავე დღეს გესტაპომ 25 კაცი დააპატიმრა. როგორც გამოირკვა, ყველა დაპატიმრებული წამებით დაუხოციათ.

მტრის იერიშები მოგერიებულია

იზიუმ-ბარვენკოვოს მიმართულება, 27 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ამ მიმართულების მთელ რიგ უბნებზე დღეს ბრძოლა დიდი გააფთრებით გრძელდებოდა. ჩვენი ნაწილები ზედიზედ ურტყამენ მოწინააღმდეგეს, ხელიდან აცლიან მას ინიციატივას, ამსხვრევენ გერმანელთა და რუმინელთა მიერ მოტანილ ყველა იერიშს.

ფაშისტები ანგარიშს არ უწევენ დიდ ზარალს, ...

...რუმინელები დილამებას დაელოდნენ, თავიანთ ჯარისკაცებს არყის ახალი პორცია მისცეს და „ფსიქიური იერიში" მოიტანეს. გამხეცებული ბანდა ორი მხრიდან დაიძრა დასახლებული პუნქტისაკენ ველური ღრიალით. საბჭოთა მეომრები გულმშვიდად უშვებდნენ მათ სულ უფრო და უფრო ახლოს თავიანთ პოზიციებთან და მიზრჯენ ხვრეტდნენ, გრანატითა და ხიშტით ქლეტდნენ.

...გალისებური ცეცხლი დაუშინეს. კონტრდარტყმა ისეთი უეცარი და ძლიერი იყო, რომ მტრის მანქანები უკან გაბრუნდნენ ისე, რომ არავითარი ზიანი არ მოუყენებიათ. ტანკებთან ერთად უკუიქცა ქვეითი ჯარიც. სამაგიეროდ რუმინელ-გერმანელთა რამდენიმე მანქანა, ჩვენი ტანკისტებისა და არტილერისტების მიერ დაზიანებული, გზებზე დარჩა.

მტერი გაშმაგდა. პირველ იერიშს მეორე, მესამე იერიში მოჰყვა. მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა ყველა ეს იერიში მოიგერიეს.

ტყვედ წამოყვანილი რუმინელი ჯარისკაცები 4 საათზე მეტ ხანს გონს არ მოსულან. „გერმანელები, — ამბობენ ისინი, — გვარწმუნებდნენ, რომ სოფლის გარნიზონი მცირერიცხოვანია. საკმარისია მხოლოდ იერიში მიიტანოთ და წითლები გაიქცევიანო, მაგრამ სულ სხვა გამოვიდა. გავიქეცით ჩვენ, და არა წითლები!"

რუმინელმა ვაიმეომრებმა კიდევ ერთი ჰკუის სასწავლი გაკვეთილი მიიღეს.

ზ. ლიპავსკი

ქრონიკა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. ა. პეკშოვი გაათავისუფლა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებაში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

თავდაცვის სახალხო კომისრის — ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებამ ახალი, საყოველთაო-სახალხო შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში.

მეტალურგიული, საავიაციო და სატანკო მრეწველობის მუშაკთა ინიციატივით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაჩაღდა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება.

მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში იკისრეს ვალდებულებანი სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოუშვან წითელი არმიისათვის საჭირო პროდუქცია, რათა შესრულებულ იქნას ამხანაგ **სტალინის** ისტორიული ბრძანება იმის შესახებ, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერული არა-...

4. რჩევა მისცეთ ... თავიანთ მდგომარეობებს ყოველკვირეულად განიხილონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოებში, და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მუშებს, მუშა ქალებს, ბრიგადებსა და საამქროებს ხელს უშლიან ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

პროფჯგუფორგებმა ყოველდღიურად უნდა შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები თავიანთ პროფჯგუფში და მოაწყონ სტახანოველებისა და დამკვრელების დახმარება იმ მუშებისა და მუშა ქალებისათვის, რომლებიც სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში ჩამორჩნენ.

...შაობა ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვების გადიდების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

...რულონ სახელმწიფო გეგმები და სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

თავდადებული შრომით დავეხმაროთ ფრონტს

ტანკები

სამგზის ორდენოსან კიროვის ქარხანაში ტანკების გამოშვება გრაფიკს უსწრებს. მაისის 25 დღის განმავლობაში გრაფიკი გადამეტებით არის შესრულებული.

საჭურველი

საარტილერიო ქარხანამ, სადაც დირექტორად არის ამხანაგი შიფრინი, გრაფიკს 8 პროცენტით გაუსწრო. ქარხანა გეგმის გადამეტებით იძლევა ზარბაზნებს. გრაფიკს უსწრებს სტალინის სახელობის ქარხანაც; ამ ქარხანამაც უკვე გეგმის გადამეტებით მოგვცა ზარბაზნები.

სასროლი საჭურვლის საწარმოთა შორის მაისის 25 დღის განმავლობაში თავი გამოიჩინა ქარხანამ, სადაც დირექტორად არის ამხ. ჩარსკი. ეს ქარხანა ზუსტად გრაფიკის მიხედვით მუშაობს და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

ტრანსპორტი

25 მაისს, რკინიგზებზე ახალი საზაფხულო გრაფიკის მოქმედების პირველ დღეს, ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ოქტომბრისა და აღმოსავლეთ ციმბირის გზების მუშაკებმა. ყველა მატარებელი ზუსტად განრიგის მიხედვით გაიგზავნა.

ჩქაროსნული მატარებლების საშუალო სადღეღამისო გარბენის მხრივ საუკეთესო შედეგებია მიღწეული კ. ე. ვოროშილოვის სახელობის, ორჯონიკიძისა და დასავლეთის რკინიგზებზე.

კოქსი

ტაგილის კოქსქიმიურმა ქარხანამ მაისის 25 დღის განმავლობაში გეგმის გადამეტებით მოგვცა 7.100 ტონა კოქსი. მაისის 25 დღის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე კემეროვოს კოქსქიმიურმა ქარხანამ და კუზნეცკის კომბინატის კოქსქიმიურმა საამქრომ.

ჩვენს ქვეყანას აძლევენ მეტსა და მაღალხარისხოვან ლითონს

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს მეტალურგთა სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრ ვალდებულებებს. განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ მარგანეცისა და მოლიბდენის საამქროები (უფროსები ინჟ. შ. თედოზაშვილი და ინჟ. ნ. კაცაძე). ქარხნის კოლექტივის დაძაბული მუშაობა კარგად შეაფასეს. ამ დღეებში სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ზესტაფონელი მეტალურგები 40.000 მანეთით და-...

...გადამეტებით მისცეს ათეულობით ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი.

დავალებებს თითქმის ორმაგად ასრულებენ ამხ. ელ. წასიძის, ვ. დვალის, ალ. სვანიძის, ვ. ჩიტორელიძის ბრიგადები. ამხ. გ. მაჭავარიანი, შ. ზუზა ე, ივ. გაბრიჭიძე, ვ. ცქიტიშვილი და ივ. მახლაი გეგმებს 140-150 პროცენტით ასრულებენ. ისინი მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

თავდადებულად მუშაობენ ქალებიც. ამხ. ელ. ანგენკო, ან. დანილოვა, მ. უდოდოვა, ა. პლაქსა, მ. ლუკიანოვა, ტ. კრავჩენკო, ...

...მულ დავალებებს. პერნესენკომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ამხ. ირემაშვილი, რომელმაც აგრეთვე აიღო მთელი რიგი ვალდებულებები.

ვაგზლის მორიგე ჯულუხიძე ჩაება სოცშეჯიბრებაში და აიღო ვალდებულება წესი-...

...ტარებლების გაგზავნა, დაუბრკოლებლივ გადაგზავნოს სამხედრო ტვირთები.

თბილისის სახალხო სადგურის კოლექტივმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს სახალხო სადგურის კოლექტივი.

„საქნავთის" ტრესტი ბურღვისა და ნავთის ამოღების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს

„საქნავთის" ტრესტმა 26 მაისისათვის ბურღვის მაისის გეგმა 139,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო 25 მაისისათვის მთლიანად გაანაღდა მეორე კვარტალის ბურღვის საწარმოო დავალება. ტრესტი გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე ნავთის ამოღების ყოველდღიურ და ყოველთვიურ გეგმებს.

ბურღვის ოსტატები ფიფია, კოჩიევი და მუსა ახმედოვი ყოველდღიურად რამდენიმე ნორმას ასრულებენ, მირზაანის საბადოების ბურღვის ოსტატის ორდენოსან ამხ. ბაკაშვილის ბრიგადამ № 215 ჭაბურღილის ბურღვა ვადაზე 15 დღით ადრე დაამთავრა,

პირობები

სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხნების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა

მოლოტოვის სახელობის გორკის ლენინის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად მოწოდებით მიმართა საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხნების ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს მოაწყონ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ავტომობილების, სპეცმანქანების, საომარი მასალების, საკისარების, მოტოციკლების, საჰურვლის, ვაგონებისა და სამარაგო ნაწილების წარმოების პროგრამის საუკეთესოდ შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

1942 წელს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ამოცანა საშუალო მანქანათმშენებლობის სახკომატის ქარხნების მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს აღაფრთოვანებს ამისათვის, რომ იმუშაონ გაორკეცებული, გასამკეცებული ენერგიით. საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხნების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სურვილის თანახმად, პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი აწესებენ შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

საავტომობილო ქარხნებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ქარხნები, რომლებიც მთლიანად ნომენკლატურის მიხედვით შეასრულებენ ავტომანქანების, მოტორების, სამარაგო ნაწილებისა და სპეცნაწარმთა გამოშვების დაწესებულ სახელმწიფო გეგმას, გეგმის გადაჭარბებით დაამზადებენ დამატებითი პროდუქციის ყველაზე მეტ რაოდენობას და ამავე დროს შეასრულებენ წარმოების დაწესებულ საღღეღამისო გრაფიკს.

ბურთულსაკისარის ქარხნებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ქარხნები, რომლებიც მთლიანად შეასრულებენ დაწესებულ სახელმწიფო გეგმას ბურთულსაკისარების დარგში, დაიცავენ დამტკიცებულ ნომენკლატურას, გეგმის გადაჭარბებით დაამზადებენ დამატებითი პროდუქციის ყველაზე მეტ რაოდენობას და ამავე დროს შეასრულებენ წარმოების საღღეღამისო გრაფიკსა და გადაგზავნის გეგმას.

გარდა ამისა, სავალდებულო პირობას წარმოადგენს ქარხნის წარმოების საერთო გეგმის შესრულება.

მომიჯნავე მრეწველობის ქარხნების ჯგუფისა, სამარაგო ნაწილების წარმოებისა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის და მოტოციკლების ქარხნებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ქარხნები, რომლებიც მთლიანად შეასრულებენ დაწესებულ სახელმწიფო გეგმას და გეგმის გადაჭარბებით დაამზადებენ დამატებითი პროდუქციის ყველაზე მეტ რაოდენობას:

ა) მომიჯნავე მრეწველობის ქარხნებისათვის—უზრუნველჰყოფენ მომიჯნავე წარმოებათა პროდუქციის გამოშვებასა და მომხმარებელი ქარხნებისათვის დროულად გადაგზავნას დაწესებული გრაფიკის მიხედვით, დაიცავენ პროდუქციის კომპლექტურობასა და ხარისხს და აუცილებლად შეასრულებენ ქარხნის საერთო გეგმას;

ბ) „გლავავტოტრაქტოროდეტალის" ქარხნებისათვის — უზრუნველჰყოფენ სატრაქტორო საავტომობილო და სატანკო სამარაგო ნაწილების გამოშვებასა და მომხმარებლებისათვის დროულად გადაგზავნას დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით და აუცილებლად შეასრულებენ ქარხნის წარმოების საერთო გეგმას;

გ) მოტოციკლის ქარხნებისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის — უზრუნველჰყოფენ პროდუქციისა და სამარაგო ნაწილების გამოშვების პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით და აუცილებლად შეასრულებენ ქარხნის წარმოების საერთო გეგმას.

საუკეთესო საავტომობილო ქარხნებსა და ბურთულსაკისარის ქარხნებს, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭებათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, დაწესებული თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წითელი დროშა მიენიჭება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და საშუალო მანქანათმშენებლობის სახკომატის წარდგენის თანახმად. მომიჯნავე მრეწველობის, სამარაგო ნაწილების, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა და მოტოციკლის საუკეთესო ქარხანას, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს შეჯიბრებაში, მიენიჭება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და საშუალო მანქანათმშენებლობის სახკომატის გარდამავალი წითელი დროშა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქარხნებისათვის იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, აგრეთვე ქარხნის მუშაკთა კოლექტივის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განსახორციელებლად, წესდება ფულადი პრემიები:

პირველი პრემია — 3
მეორე პრემია — 3
მესამე პრემია — 4.

ქარხნებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საავიაციო და სატანკო მრეწველობისათვის საკისარების, დეტალების, კვანძებისა და აგრეგატების დამზადების შეკვეთების შესრულებაში, ენიჭებათ პრემიები, რომლებიც გათვალისწინებულია საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნების სრულიად-საკავშირო შეჯიბრების პირობებით.

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებასთან ერთად ეწყობა შინასაქარხნო შეჯიბრება საამქროებსა, სახელოსნოებსა და ბრიგადებს შორის და ინდივიდუალური შეჯიბრება.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევენ საშუალო მანქანათმშენებლობის სახკომატის საწარმოთა და საამქროთა ხელმძღვანელებს, ქარხნების პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას გარდამავალი წითელი დროშისათვის.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი რწმენას გამოსთქვამენ, რომ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საშუალო მანქანათმშენებლობის სახკომატის ქარხნების მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი ახალ-ახალ წარმატებას მოიპოვებენ ავტომობილების, საომარი მასალების, საკისარების, მოტოციკლების, საჰურვლისა და სხვა პროდუქციის გამოშვებაში, რათა მიღწეულ იქნას უსწრაფესი გამარჯვება მტერზე და საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლება ჰიტლერელი არამზადებისაგან.

ინგლისში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისია გენერალ არნოლდის მეთაურობით

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისში ჩავიდა ამერიკის არმიის უმაღლესი თანამდებობის ოფიცერთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი არნოლდი. ამერიკელ ოფიცრებს თათბირი ექნებათ ინგლისის სარდლობასთან ინგლის-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის საკითხზე.

ნიუ-იორკი, 27 მაისი (საკდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის სამხედრო მისიის შემადგენლობაში შედიან: საზღვაო სამინისტროს ავიაციის ბიუროს უფროსი—ადმირალი ტაუერი, სამხედრო სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს და საბრძოლო მომზადების უფროსი — გენერალი ეიზენჰაუერი და სახმელეთო ძალთა შტაბის უფროსი—გენერალი კლარკი.

კანადის ჯარების ჩასვლა ინგლისში

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში ჩამოვიდა კანადის ჯარების ახალი კონტინგენტი, მათ შორის საინჟინრო ნაწილები.

ახლო აღმოსავლეთში ჰიტლერელთა ჯაშუშური ორგანიზაცია აღმოაჩინეს

სტამბოლი, 27 მაისი (საკდესი). სირიული პრესა იუწყება, რომ სირიასა და ლიბანში აღმოაჩინეს ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელსაც თავისი აგენტები ჰყავდა ამ ქვეყნების ყველა დიდ ქალაქში. 4 ჯაშუში დახვრიტეს, სხვებს მიუსაჯეს სასტიკი პატიმრობა 5-დან 15 წლამდე.

დამატებითი ცნობებით, ეს ჯაშუშური ორგანიზაცია ვიშის წელს შექმნა რაშიდ ალი ჰაილანიმ, როცა იგი სტამბოლში იმყოფებოდა. ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სირიელები, ლიბანელები და რამდენიმე პალესტინელი, რომლებიც გადაბირებული იყვნენ რაშიდ ალი ჰაილანის, გერმანიის სტამბოლის საკონსულოს მოხელეებისა და სხვა გერმანელი აგენტების მიერ.

ჯაშუშური ორგანიზაციის ცენტრი თურქეთის მოსაზღვრე ქალაქ ჰალებში (ალეპო) იმყოფებოდა. ამ ორგანიზაციასთან კავშირის გასაბმელად გერმანიის ელჩმა თურქეთში პაპენმა გერმანიის სპეციალური საკონსულო გახსნა ადანაში და მის სათავეში დააყენა ჰოფმანი, რომელიც ომამდე სირიაში იმყოფებოდა და იქ ჰიტლერელთა დაზვერვის სხვადასხვა დავალებას ასრულებდა. გამორკვეულია, რომ ჯაშუშური ორგანიზაციის რამდენიმე მოხსენება ახლო აღმოსავლეთში მყოფ ინგლისის სამხედრო ძალების შესახებ ჰოფმანს გადასცეს ალექსანდრეტასა და ადანაში ჩასულმა სირიელებმა—ჯაშუშური ორგანიზაციის წევრებმა. მოკავშირეთა ხელისუფლებმა ზომები მიიღეს გერმანელთა ჯაშუშური ორგანიზაციის ნაშთების ლიკვიდაციისათვის.

გერმანიის ეკონომიურ სიძნელეთა გამწვავება

ნიუ-იორკი, 23 მაისი (საკდესი). ამერიკის ყოფილი ბერლინელი კორესპონდენტები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ მოემგზავრებიან, გადმოგვცემენ, რომ გერმანია მუშახელის, ტრანსპორტისა და სურსათის სერიოზულ ნაკლებობას განიცდის.

მუშების შრომის ეფექტიანობა, მეტისმეტი დაღლილობისა და მრავალი წლის შიმშილობის გამო, შემცირდა. ფიქრობენ, რომ მუშების არასაკმაო კვებისა და დაუძლურების შედეგად გერმანია ყოველდღე ფაქტიურად 200.000 სამუშაო დღეს ჰკარგავს.

გერმანელი ხელისუფალნი გადამწყვეტ ღონისძიებებს ხმარობენ უცხოელი მუშების მოსაზიდად. ფიქრობენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეგროვებული მუშების საერთო რიცხვი ამა წლის დამლევისათვის 4 მილიონ კაცს მიაღწევს. აღნიშნავენ, რომ გერმანიაში სამუშაოზე დაბანდებულ პოლონელთა თითქმის ნახევარი არსებითად სამხედრო ტყვეთა მდგომარეობაში იმყოფება.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოსათვის გერმანიას სოფლის მეურნეობის 600.000 მუშა აკლია.

ტრანსპორტის ცუდი მუშაობის გამო ვერ მოხერხდა კარტოფილის თავის დროზე გაზიდვა და იგი ყინვებმა გააფუჭა; ამავე მიზეზით შეუძლებელია სათანადოდ მოეწყოს ქვანახშირის, აგრეთვე თესლისა და სასუქის გადაზიდვა.

ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა გერმანული პრესიდან მრავალი ფაქტი მოიყვანა, რომლებიც მოწმობენ, რომ განუწყვეტლივ მცირდება გერმანელი ხალხის საარსებო დონე; გერმანელი ხალხი პირველი მოთხოვნილების საგნების მწვავე საჭიროებას განიცდის.

ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება იტალიაში

სტამბოლი, 23 მაისი (საკდესი). იტალიური პრესის ცნობებით, იტალიაში სულ უფრო და უფრო მწვავედ იგრძნობა ლითონის ნაკლებობა. მთელი ჯართი უკვე დიდი ხანია გამოყენებულია. მაისის დასაწყისში იტალიის მთავრობამ მოსახლეობას დაავალა დაუყოვნებლივ ჩაებარებინა სახელმწიფო საწყობებში აბაზანები, კარის სახელურები და სხვა საოჯახო მოწყობილობა.

იტალიაში მკვეთრად არის შეზღუდული ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარება. ახლა ფაშისტი ხელისუფალნი დრაკონულ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ გლეხებს ახალი მოსავალი ჩამოართვან. 10 მაისს გამოქვეყნდა მთავრობის დეკრეტი, რომლის თანახმადაც ახალი მოსავლიდან 10 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს. გლეხებს დაწესებულად განსაზღვრული რაოდენობის მარცვლეულს უტოვებენ, რომელიც მათ ნახევრამშიერ არსებობასაც კი ვერ უზრუნველჰყოფს. მოსავლის ჩაბარების ვადების სულ მცირედი დარღვევაც კი სასტიკად ისჯება.

მარაგის გადამალვისათვის გამოტანილი მრავალი სასამართლო განაჩენის მიუხედავად, გლეხები სულ უფრო და უფრო ხშირად მალავენ ურს სახელმწიფოსათვის თავიანთი პროდუქციის ჩაბარებას.

დანაშაულობის საშიში ზრდა ფინეთში

სტოკჰოლმი, 26 მაისი (საკდესი). ფინური პრესა შეშფოთებით სწერს, რომ დანაშაულობის ზრდა ფინეთში საშიშ ხასიათს იღებს. გაზეთები იძულებული არიან აღიარონ, რომ ყველაზე მეტი დანაშაული ჩადენილია შიმშილისა და გაჭირვების ნიადაგზე. „მაღაზიებში თითქმის ყოველდღე ხდება ქურდობა,—სწერს გაზეთი „აბოუნდერრეტელსერი", — პროდუქტების ქურდობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა". გაზეთ „სოციალდემოკრატის" ცნობით, „დანაშაულობამ ფინეთში არაჩვეულებრივად ფართო ხასიათი მიიღო. ქურდობა საყოველთაო მოვლენა გახდა. გაზეთები „კარიალა" და „სუომენ სოსიალიდემოკრაატი" აღნიშნავენ, რომ ქურდობას ძალიან ხშირად ეწევიან შვებულებაში ჩამოსული ფინელი ჯარისკაცები, რომლებიც იტაცებენ პროდუქტებს, საპონს, თამბაქოს.

უნგრეთ-რუმინეთის წინააღმდეგობა გამწვავდა

სტამბოლი, 26 მაისი (საკდესი). უნგრეთ-რუმინეთის ურთიერთობის დაძაბულობა დღითი-დღე მატულობს.

ამას წინათ ცხარე პოლემიკა გაიმართა უნგრეთისა და რუმინეთის გაზეთებს შორის იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთის საიდუმლო რადიოსადგურმა „დიდმა რუმინეთმა" რამდენჯერმე მოაწყო უნგრეთის საწინააღმდეგო გადაცემა. უნგრულმა გაზეთმა „პესტერ ლოიდმა" მკვახე შეკითხვა გაუგზავნა რუმინეთის მთავრობას, სად იმყოფება ეს სადგური. როგორც გაზეთი „ნოიე ციურხერ ცაიტუნგი" იუწყება, ამის პასუხად რუმინეთის მთავრობამ პროტესტის ნოტა გადასცა უნგრეთის მთავრობას, რომლითაც განუცხადა, რუმინეთის მთავრობას საერთო არა აქვს რა სადგურ „დიდ რუმინეთთანო".

ანტონესკუმ, რომელიც ცდილობს გამწვავება ჩამოაგდოს უნგრეთსა და ხორვატიას შორის, „რუმინეთის კულტურული დელეგაცია" გაგზავნა ზაგრებში. რუმინული გაზეთები საგანგებოდ აღნიშნავდნენ ამ დელეგაციის გამგზავრებას, როგორც „რუმინეთ-ხორვატიის მეგობრობის მანიფესტაციას". უნგრულმა პრესამ „უნგრეთისადმი მტრულ აქტად" მიიჩნია რუმინეთის დელეგაციის გამგზავრება ზაგრებს.

როგორც უნგრეთში მყოფი უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტები გადმოგვცემენ, უნგრეთ-რუმინეთის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ ყოველ წუთს შეიძლება დიდი ამბები მოხდეს.

ფრანგ ხალხს იარაღი არ დაუყრია
დე გოლის გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალმა დე გოლმა რადიოთი მიმართა ფრანგ ხალხს და განაცხადა, რომ საფრანგეთი ბრძოლას განაგრძობს ომის მესამე წელს. გერმანელთა ტერორის მიუხედავად, ხალხის სიკვდილით დასჯისა და დაპატიმრების მიუხედავად, ფრანგმა ხალხმა უკვე დაამტკიცა თავისი ნებისყოფა წინააღმდეგობისა სენ-ნაზერში, ნანტში, პარიზში, ბორდოსა და სტრასბურგში.—საფრანგეთს, — სთქვა დე გოლმა,—შეუძლია მძლავრი დახმარება გაუწიოს მოკავშირეებს, თუ იგი ბრძოლის სულისკვეთებას შეინარჩუნებს და განაგრძობს ომს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის განკუთვნილ ასიგნობებს ამცირებენ

ვაშინგტონი, 27 მაისი (საკდესი). რუზველტმა კონგრესს მიმართა წერილით, რომელშიც რჩევას იძლევა შემცირებულ იქნას მომავალ საბიუჯეტო წელს ასიგნობანი საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი წინადადებას იძლევა ასიგნებულ იქნას ამ მიზნისათვის დაახლოებით 280 მილიონი დოლარი, ე. ი. თანხა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაბმულ იქნას 400 ათასი კაცი.

რუზველტი აღნიშნავს, რომ სამხედრო წარმოების კოლოსალურ ზრდასთან დაკავშირებით, სწრაფად იქმნება მუშახელის ნაკლებობა. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ არის 3 მილიონამდე უმუშევარი, ბევრი მათგანი სამუშაოს მიიღებს მომავალ საბიუჯეტო წელს. მაგრამ მუშათა არმიაში, რომელშიც 60 მილიონი კაცი ირიცხება, მნიშვნელოვანი რაოდენობით დარჩებიან ისეთი ადამიანები, რომელთა დაქირავებასაც კერძო მეწარმენი არ მოისურვებენ მათი ასაკის, კვალიფიკაციის უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო. გარდა ამისა, ადამიანთა ნაწილი იმ რაიონებიდან, რომლებშიც მუშახელის სიჭარბეა, ვერ წავა იმ რაიონებში, სადაც მუშახელის ნაკლებობაა. ამის გამო, — განაცხადა რუზველტმა, — მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მრეწველობის მეწარმეებმა, სამხედრო წარმოებისათვის მუშახელის დაქირავების დროს, ხელი უნდა აიღონ ჩვეულ დისკრიმინაციაზე როგორც რასობრივი, ისე სხვა მიზეზებით".

საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამა ითვალისწინებს აეროპორტების და გზატკეცილების აშენებას და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ ომთან.

ლათინურ ამერიკაში აღშფოთებული არიან ღერძის სახელმწიფოთა აგრესიული მოქმედებით

ნიუ-იორკი, 27 მაისი (საკდესი). ღერძის სახელმწიფოთა აგრესიულმა მოქმედებამ, ლათინური ამერიკის გემებზე ყაჩაღური თავდასხმების გახშირებულმა შემთხვევებმა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

არგენტინის გაზეთი „კრიტიკა" აღნიშნავს, რომ მექსიკის დეკლარაცია გერმანიისათვის ომის გამოცხადების შესახებ, უეჭველია, გავლენას მოახდენს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების, კერძოდ ბრაზილიის, კოლუმბიისა და ვენესუელის პოზიციაზე.

პერუს გაზეთი „ლა კრონიკა" ლათინური ამერიკის ქვეყნებს მოუწოდებს ომი გამოუცხადონ ღერძის სახელმწიფოებს, როგორც „ყველა ხალხის თავისუფლებათა, ღირსებისა და უფლებათა უდიდეს მტრებს".

მდგომარეობა ლიბიის ფრონტზე

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ცნობით, თებერვლიდან ლიბიის ფრონტზე ჩატარებულ იქნა ორი შეტევითი ოპერაცია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიერ. მტრის ხაზი, რომელსაც ერთგვარი პოზიციური უპირატესობა აქვს, გადის ჰაზალის დასავლეთით რამდენიმე მილზე მდებარე პუნქტიდან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, ტენგედერის რაიონისაკენ. ფრონტთაშორისი ზოლის სიღრმე საშუალოდ 10-15 მილს აღწევს.

ღერძის ქვეყნებს ლიბიის ფრონტზე რიცხობრივი უპირატესობა არა აქვთ, ამასთან ინგლისელებს იქ მეტი ტანკი მოეპოვებათ. ინგლისის ავიაცია მეტ საბრძოლო აქტივობასაც იჩენს. ამის მიუხედავად, შეუძლებელი არ არის, რომ გერმანელები აქ შეეცდებიან შეტევაზე გადმოვიდნენ.

საომარი მოქმედების აქტივიზაცია ლიბიაში

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის სპეციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ლიბიაში 26 მაისს ღამით მტრის დიდმა ჯავშანსატანკო ძალებმა წინ წაიწიეს დასავლეთიდან ბირჰაკეიმის რაიონის ინგლისელთა პოზიციების სამხრეთით. დღეს დილით მათ ბრძოლა დაიწყეს ინგლისის ჯავშანსატანკო ძალებთან. დაწვრილებითი ცნობები ბრძოლის შესახებ მიღებული არ არის.

გერმანიის მოსახლეობას ძველ ტანისამოსს ართმევენ

ჟენევა, 26 მაისი (საკდესი). გერმანული გაზეთების ცნობებით, გერმანიის საფეიქრო მრეწველობა მძიმე კრიზისს განიცდის ნედლეულის მარაგის გამოლევასთან დაკავშირებით. როგორც გაზეთი „ბერგვერკს ცაიტუნგი" იუწყება, ზოგიერთი საფეიქრო საწარმო იძულებული იყო მუშაობა შეეწყვიტა, სხვა საწარმოები კი გაჩერებულია კვირეების განმავლობაში. ომის მთელი ხნის განმავლობაში გერმანიის ბაზრებზე არც ერთი მეტრი მასალა არ გამოუტანიათ. მთელი საფეიქრო საქონელი არმიას ხმარდება; მიუხედავად ამისა, იგი ამჟამად საზაფხულო ჩაცმულობისა და თეთრეულის დიდ ნაკლებობას განიცდის. სამხედრო საწარმოებში გერმანელი მუშები უპერანგებოდ მუშაობენ, რადგან მათ თეთრეული არა აქვთ. ბევრ საწარმოში ამ ნიადაგზე არაერთხელ მოხდა მღელვარება.

გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1-დან 15 ივნისამდე მთელ გერმანიაში ჩატარდება ძველი ტანისამოსისა და ტრიკოტაჟის შეგროვების კამპანია. მეურნეობის მინისტრი ფუნკი, მიმართავს რა გერმანელ მოსახლეობას, აღიარებს, რომ გერმანია „მძიმე პირობებში" იმყოფება. „სამხედრო საწარმოებში და სოფლის მეურნეობაში მომუშავე მამაკაცებსა და ქალებს,— განაცხადა ფუნკმა, — ტანისამოსი სჭირდებათ". ფუნკმა მოუწოდა მოსამსახურეებსა და დიასახლისებს ჩააბარონ „გამოუყენებელი ტანისამოსი, ძველი ტრიკოტაჟის ნივთები, წინდები, ძველი თეთრეული, ძონძები". ფუნკის სიტყვით, ეს არის გერმანიის „ნედლეულის რეზერვები", რომელზედაც დამოკიდებულია „გერმანიის სამხედრო მეურნეობის მუშაობისუნარიანობისა და სიმძლავრის შენარჩუნება".

ჟურნალისტთა წრეებში ამტკიცებენ, რომ მოსახლეობისათვის ძველი ტანისამოსისა და ძონძების ჩამორთმევა ძალდატანებით იწარმოებს.

იუგოსლაველი პარტიზანების ბრძოლა

სტამბოლი, 23 მაისი (საკდესი). გაზეთი „იუგოსლავენსკი გლასნიკი", რომელიც კაიროში გამოდის, იუწყება, რომ, იუგოსლაველი პარტიზანების მოქმედების შედეგად, მიმოსვლა ბელგრადსა და ზაგრებს შორის თითქმის შეუძლებელი გახდა. ამ ცოტა ხნის წინათ ქ. ზაგრებიდან ბელგრადში ჩასულმა ერთმა იუგოსლაველმა სთქვა, რომ მათ მატარებელს სამჯერ დაესხნენ თავს პარტიზანები. მატარებელი რამდენჯერმე შეჩერდა, რადგან გზა ქვებით იყო ჩახერგილი. მატარებელთა მცველი რაზმი ყოველი მგზავრობიდან დიდი ზარალით ბრუნდება.

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ხშირად იტალიელი ჯარისკაცები, როგორც კი პარტიზანებს დაინახავენ, იარაღს ჰყრიან და გარბიან. ამის მოხებით პარტიზანებს ხელთ ჩაუვარდათ დიდძალი იარაღი და სხვა საომარი მასალა. მიკიჩში მდგომი იტალიელთა გარნიზონი რამდენიმე ხნის წინათ სრულიად უიარაღოდ დარჩა.

კარლოვაცში პარტიზანთა ჯგუფმა, რომელსაც უსტაშების ფორმა ეცვა, ამ ცოტა ხნის წინათ მოახერხა გაეთავისუფლებინა ადგილობრივ საპატიმროში მოთავსებული პარტიზანები და წაეყვანა დაჭრილი ამხანაგები.

ბულგარეთის სასურსათო მდგომარეობის გაუარესება

ანკარა, 25 მაისი (საკდესი). მოსახლეობის სასურსათო მომარაგების მდგომარეობა ბულგარეთის მთავრობის შეშფოთების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ვაჭრობის სამინისტრომ აკრძალა თეთრი პურის გამოცხობა ბავშვებისა და ავადმყოფებისათვისაც კი. სამინისტროს დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ყველა პირმა, ვისაც კი წვრილფეხა საქონელი მოეპოვება, ვაჭრობის სამინისტროს ცნობები უნდა წარუდგინოს ამ საქონლის რაოდენობის შესახებ.

ჰიტლერელები ლატვიელებს, ლიტველებსა და ესტონელებს მიერეკებიან კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში

სტოკჰოლმი, 25 მაისი (საკდესი). ჰიტლერელი ხელისუფალნი განაგრძობენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკებიდან მუშების ძალდატანებით გზავნას გერმანიაში. გაზეთ „დოიჩე ციტუნგ ინ ოსტლანდის" ცნობით, მარტო ვილნიუსის ოლქიდან უკანასკნელ ხანს 4.800-ზე მეტი კაცი გაიგზავნა. ჰიტლერელთა გაზეთები არ მალავენ, რომ ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობა გერმანიაში სამუშაოზე გაგზავნას კატორღაში გაგზავნად მიაჩნია. გაზეთ „დოიჩე ციტუნგ ინ ოსტლანდის" აღიარებით, ლატვიელები აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ „ლატვიელი სტუდენტები ბერლინში ქუჩებს ჰგვიან, ხოლო ლუბეკსა, კილსა და ჰამბურგში გაგზავნილ ლატვიელ ქალიშვილებს საწარმოებში კი არ გზავნიან, არამედ სეროსკიპო სახლებში".

თუ რა მეთოდებს მიმართავენ ჰიტლერელი „შემგროვებელნი", სჩანს გერმანულ გაზეთ „რევალერ ცაიტუნგის" ცნობიდან. „შემოწმების შემდეგ, — სწერს ეს გაზეთი,—ესტონელებს პოლიციის საშუალებით გაეგზავნათ ბრძანება შეიკრიბონ პუნქტში გამოცხადების შესახებ. ყველა სწორედ ვადაზე უნდა გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ პოლიცია იძულებითი წესით მოიყვანს. ვინც ბრძანებას არ შეასრულებს, იმას სჯიან". ამნაირად „შეგროვებულ მუშებს" სამხედრო რაზმების თანხლებით გზავნიან გერმანიაში.

გაზეთები ხანდახან აქვეყნებენ ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი მუშების მიერ თავისიანებისათვის გერმანიიდან გამოგზავნილ წერილებს. ამ წერილებიდანაც კი, რომლებიც გესტაპოს უსასტიკეს ცენზურაშია გავლილი და „შესწორებულია", სჩანს, თუ რა კატორღული რეჟიმია დამყარებული უცხოელი მუშებისათვის გერმანიაში. ერთ წერილში, რომელიც მოთავსებულია „დოიჩე ციტუნგ ინ ოსტლანდში", ნათქვამია, რომ „სამუშაო დრო მთელი დღის გრძელდება", ხოლო იმ რეჟიმიდან გადახვევა, რაც დამყარებულია ბანაკებში, სადაც მუშები ცხოვრობენ, პატიმრობითა და სასურსათო ულუფის ჩამორთმევით ისჯება.

ომი წყნარ ოკეანეში
(23-27 მაისის დღეების მიმოხილვა)

ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროს რაიონში უკანასკნელი კვირის განმავლობაში დიდ აქტივობას იჩენდა მოკავშირეთა ავიაცია, რომელიც ყოველდღე 2-3-ჯერ ესხმოდა თავს იაპონელთა მიერ დაკავებულ პუნქტებს და მათ მიერ შექმნილ სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზებს.

იაპონელები სამჯერ დაესხნენ თავს მოკავშირეთა დიდმნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზას მორსბიში (ახალი გვინეის სამხრეთ სანაპიროზე).

ბირმაში საომარი მოქმედება თითქმის მხოლოდამხოლოდ ინგლისისა და ამერიკის ავიაციის ოპერაციებით განისაზღვრებოდა.

იუნანში ჩინეთის ჯარები სულ უფრო და უფრო აქტიურ მოქმედებას აჩაღებენ და კონტრიერიშებზე გადადიან. იქ ძლიერი წვიმები დაიწყო, რაც ჩვეულებრივია წლის ამ დროისათვის. გზების წალეკვის გამო დიდი სიძნელეები იქმნება იაპონიის მექანიზებული ნაწილების მოქმედებისათვის.

ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ჟეძიანის პროვინციაში ხანჯოუს რაიონიდან სამხრეთისაკენ შეტევა იაპონელთა ჯარების ძირითადი დარტყმა მიმართულია ძინხუასაკენ, რომელიც ჟეძიან-ძიანსის რკინიგზის დიდმნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. ბრძოლა ქალაქის ახლო მისადგომებზეა.

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. ლუდი ხურციძე ჰკრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს. ამხ. ხურციძეს 1942 წ. დღემდე გამომუშავებული აქვს 130 შრომადღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის" წევრი სტახანოველი როზა ცანავა მის მიერ მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლით.

ფოტო რ. აკოფოვისა.

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

საგაზაფხულო სამუშაოები ლაგოდეხის რაიონში

ლაგოდეხი („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს, რომლებიც ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებთან, აღებული აქვთ ვალდებულება წელს 10.986 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესებიდან საშუალოდ მიიღონ ჰექტარზე 15 ცენტნერი, ხოლო 1.744 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან საშუალოდ 30 ცენტნერი, თამბაქო კი ჰექტარზე საშუალოდ 12,7 ცენტნერი.

კოლმეურნეობებს შარშანდელზე გადაჭარბებით მარტო თავთავიანი მარცვლეული კულტურები დათესილი აქვთ 900 ჰექტარზე. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე სიმინდის, კარტოფილის და სხვა კულტურების თესვის გეგმები. გარდა ამისა შემოდგომაზე თავდაცვის ფონდისათვის დათესილია თავთავიანი მარცვლეული კულტურები 145 ჰექტარზე, ხოლო კრასნოდარელთა მოწოდების პასუხად თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 165 ჰექტარზე.

სოფ. ყარსუბნის „წითელ ჯავშნოსნში", სადაც თავმჯდომარეა ორდენოსანი დ. კაპანაძე, 200-მდე მუშა ხელიდან მარტო წელს გამოვლინებულია 60 სტახანოველი. კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ხორბალი დასთესა, გადააჭარბა აგრეთვე სხვა კულტურების თესვასაც. კოლმეურნეობა სოციალისტური მეურნეობის მაღალ მოსავალს მოიწევს საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერამდე პურისა და ქერის, 15 ცენტნერამდე თამბაქოს და სხვა კულტურების მიღებას. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე გამოდის სამუშაოზე. პირველი ბრიგადის რგოლის ხელმძღვანელ ვერა გოგოლაშვილს წელს კოლმეურნეობაში 200-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული. კარგად მუშაობენ მათიკო გოგოლაძე, კატო სომხიშვილი, კესარია და სონა ფოფხაძეები, ტასო ნოზაძე, ნინო ლუტიძე და სხვ. ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებისათვის კოლმეურნეობამ წელს 2 საბავშვო ბაგა მოაწყო.

სოფ. მშვიდობიანის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ხ. მარტაშვილი) შარშანდელზე გადაჭარბებით სხვადასხვა კულტურები 100 ჰექტარამდე არის დათესილი. კოლმეურნეობამ თავდაცვის და ძმური დახმარების ფონდში 7 ჰექტარი დასთესა, ფართობებში შეიტანა 765 ცენტნერი ნაკელი, ნაცარი. კოლმეურნე მაშო კორაშვილს წელს კოლმეურნეობაში 304 შრომადღე აქვს გამომუშავებული. ეჯიბრება რა სოფ. ვარდისუბნის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობას, სოფ. მშვიდობიანის კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 25 ცენტნერამდე პური და ქერი, 20 ცენტნერამდე თამბაქო, 50 ცენტნერამდე სიმინდი და სხვ.

მაგრამ მოწინავეებთან ერთად რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილნიც. სოფ. ჭაბუკიანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე პ. ბარბაქაძე), სადაც 400-მდე მუშა ხელია, დღეში საშუალოდ მხოლოდ 1 ჰექტარ თამბაქოს რგავენ და გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. შრომის მოუწესრიგებლობისა და თამბაქოს ჩითილის გამოყვანის დაგვიანების შედეგად ჩამორჩენას ადგილი აქვს აგრეთვე სოფ. განათლების რუსთაველის სახელობის (თავმჯდომარე გ. გოზალიშვილი), სოფ. ქვემო სხალტბის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე მ. ბარბაქაძე) და სხვა კოლმეურნეობებში.

გაზ. „კომუნისტის" 9 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" წევრთა მიმართვა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი 1942 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ. მაგრამ, როგორც შემოწმებით ირკვევა, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში არ მოუწყვიათ არბოშიკელ კოლმეურნეთა მიმართვის განხილვა და მასთან დაკავშირებით არ აუღიათ კონკრეტული ვალდებულებანი. არც რაიონული გაზეთის რედაქციას გადაუბეჭდავს არბოშიკელთა მიმართვა.

როგორც სჩანს, საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადოდ ვერ შეაფასეს არბოშიკელთა მიმართვა და ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობები დღემდე არ გამოეხმაურნენ ამ მნიშვნელოვან მოწოდებას.

ტრ. თოდრაძე

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მოწინავენი

ცხაკაია („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. 21 მაისისათვის რაიონში მოკრეფილი და ფაბრიკისათვის ჩაბარებული იყო 81.459 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. კრეფა წარმატებით მიმდინარეობს ზანის, ეკის, ფოცხოს და სხვა სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებში. სოფ. ხორშის ლენინის სახელობის და სოფ. უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ ნატანებელ კოლმეურნეთა მოწოდების საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებებს. სოფ. უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე რგოლის ხელმძღვანელი ნ. კუჭავა, რომელმაც ვალდებულება აიღო 1 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 8.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღოს და თვითონვე მოჰკრიფოს, ამჟამად კრეფის ყოველდღიურ დავალებებს 700-800 პროცენტით ასრულებს. სტახანოველი კოლმეურნეები — ოლია ცხვიტავა, ბაბუცა აბურზანია და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ.

ს. კუჭავა

გეგმების შესრულება

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების საგაზაფხულო თესვის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.100 ჰექტარისა, დათესილია 13.251 ჰექტარი.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი **მიხანაშვილი**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბუზიაშვილი**

* * *

კასპის რაიონმა მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურების თესვა 111,2 პროცენტით შეასრულა. დათესილია 6.120 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.940 ჰექტარისა.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი **შაჟულაშვილი**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **სიდამონიძე**

„სილვა" მუსკომედიის თეატრში

29, 30 და 31 მაისს მუსკომედიის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს პირველად ქართულ სცენაზე კალმანის პოპულარულ ოპერეტა „სილვას".

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის დ. ძნელაძესა და დ. მაჭავარიანს, მხატრობა—ი. შტენბერგს, დირიჟორია კ. მაჩაბელი. მთავარ როლებს ასრულებენ: ნ. თულაშვილი და თ. როდ-ჩიჯავაძე (სილვა), შ. ოსეფაშვილი და მ. ბერიაშვილი (ედვინ), ნ. მოსეშვილი და ვ. სალარიძე (ბონი), მ. ინგილო და ვ. ოინვარაშვილი (სტასი), ბ. ჩიჩელაშვილი და ა. მეწუდიშვილი (ფერი), ი. ბაკაკური და შ. ტატუნაშვილი (ლეოპოლდი), ე. ციმაკურიძე და ბ. ჩერპელაშვილი (ანგილტა), ა. მეწუდიშვილი და გ. ჰუმბურიძე (რონსდორფი).

სპექტაკლი დაიწყება 8½ საათზე და დამთავრდება 11½ ს.

თეატრებში

სახოპერა — 28 მაისს—„ბოშათა ბარონი", 29 მაისს — „რახილ". **რუსთაველის სახელობის**—28 მაისს—„დავა", 29 მაისს — „ფლანდრია". **მარჯანიშვილის სახელობის** — 28 მაისს—„გრიგალი", 29 მაისს — „მეფე ერეკლე". **მუსიკალური კომედიის** —28 მაისს — „საქორწინო მოგზაურობა", 29, 30 და 31 მაისს—„სილვა". **სანკულტურის**— 28 მაისს—„აჟილღა".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — საბჭოთა კინოკურნალები № 22, 25, 27, 29, 30 და 31, **ოქტომბერი**—„კაცი რესტორანიდან", **დამკვრელი** — „მესაზღვრეები", **კომკავშირელი**—„მუსიკალური ისტორია", **სპარტაკი** — „მეკარე", **ლუქსემბურგის სახ.**—„მასკარადი", **26 კომ. სახ.** და **კომინტერნი**—„ცარიცინის დაცვა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საექსტერნო გამოცდები
საშუალო სკოლის კურსის დამთავრებაზე იწარმოებს ა. წ. 1 ივნისიდან თბილისის პირველი საშუალო სკოლის შენობაში.
განცხადებათა მიღება იწარმოებს განსახკომში (მთავრობის სასახლე, მე-6 სართ., ოთახი № 24) ყოველდღე 12 საათიდან 3 საათამდე.
95
საქ. სსრ განსახკომი

საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ
ვასილ მიხეილის-ძე ნასიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/V, 7 ს. გამოსვენება 29/V, 6 ს. საბჭოს ქ. № 59-ა, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 652

„თბილსახკვების" დიდუბის დამხმარე მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან შვრო ნაცვლიშვილის ძმის
დანიელ ნიკოლოზის-ძე პოპიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/V, 6 ს. ქუთაისის ქ. № 25, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 654

თბილისის მესამე საფერშლო სკოლის პედკოლექტივი იუწყება სოსო ტიტვინიძის შვილის
ლალი ტიტვინიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/V, 6 ს. არსენას ქ. № 29. 653

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ალექსანდრე ცხაკაიას სიდედრის
ელისაბედ დავითის-ასულ დგებუაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/V, 6 ს. ბორჯომის ქ. № 7, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 651

არტელ „პრომტექსტილის" გამგეობა და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან
ნუცა ყარამანის-ასულ აბდუშელიშვილ-შელიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ბაიაზეთის ქ. № 6, დაკრძალვა 31/V, 2 ს. 655

თბილისის რკინიგზის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები იუწყებიან ამავე სკოლის დირექტორის გიორგი ვალიშვილის სიმამრის
ისიდორე პერტიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/V 7 ს. მუხრანის ქ. № 1, დაკრძალვა 29/V 6 ს. ვერის სასაფლაოზე.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

შე 5925